


რა არის მცენარეული ნარკოტიკი?

მცენარეები, რომლებსაც მასტიმულირებელი ეფექტი აქვთ, განსაკუთრებით პოპულარულია დასავლეთის ქვეყნებში ღია ცის ქვეშ ჩატარებულ ფესტივალებზე. ჰერბალ-ექსტაზი არის ექსტაზისა და ფსიქოაქტიური მცენარის ნაყოფის ნარევი; ითვლება ექსტაზის (MDMA) ალტერნატიულ საშუალებად. ბევრი სახეობა შეიცავს ისეთ ნარკოტიკულ საშუალებას, როგორცაა ეფედრინი და ძალიან საშიშია.

ჰერბალ-ექსტაზი

იგი არის მასტიმულირებელი, რის შედეგადაც გემატება ენერგია, მანვილდება ყურადღება და აღქმა. ეს დამოკიდებულია მის შემადგენლობაზე, რამდენად ძლიერია იგი და, რამდენ ხანს მოქმედებს. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ იგი ისევე მოქმედებს, როგორც ექსტაზი, სხვები კი ამბობენ, რომ იგი დაახლოებით ისეთივეა, როგორც ერთი ჭიქა ჩაი და კოკა-კოლა. ჰერბალ-ექსტაზმა, რომელიც ეფედრინს შეიცავს, შეიძლება გამოიწვიოს თავის ტკივილი, უძილობა, თავბრუსხვევა, ტკივილები გულის არეში ან გულისცემის აჩქარება.



ეფედრას ბუჩქი



კათის ბუჩქი

კათი

კათი არის სტიმულაციური მოქმედების ბუჩქოვანი მცენარეული ნარკოტიკი, შეიცავს ალკალოიდებს კათინსა და კათინონს, მოხმარენ მცენარის ფოთლებს. იგი იზრდება აღმოსავლეთ აფრიკასა და არაბეთის ნახევარკუნძულზე. იგი ისევე ზემოქმედებს, როგორც ამფეტამინი. იწვევს ვიფორიას, აგზნებას, თუმცა შეიძლება დამამშვიდებელი ეფექტიც ჰქონდეს.

- კათის ხშირმა დაღეჭვამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ღრუს ანთებითი პროცესები, ინფექციები და კიბოც კი
- კათის რეგულარული გამოყენება იწვევს დებრესიებს, შიშს, აგზნებადობას, აგრესიულობას და თვითმკვლელობასაც კი
- კათს შეუძლია თავის ტვინისა და შინაგანი ორგანოების მძიმე დაზიანებების გამოწვევა

სამართლებრივი მდგომარეობა

კათი და ეფედრონის შემცველი მცენარეები ისევე ექვემდებარება კანონს, როგორც ჰეროინი და სხვა ნარკოტიკები

გამოშვების ფორმა

კათის ფოთლებს ან ბუნებრივი სახით ყიდულობენ, ან ყიდულობენ მისგან დამზადებულ ჩაის. იგი სუფთა არასოდეს არ არის, ვინაიდან სტიმულაციური ეფექტი გააჩნია მხოლოდ ახლადმოკრეფილ ფოთლებს და ღეროებს



კათის ღეროები

გამოშვების ფორმა

ჰერბალ-ექსტრაქტი, ჩვეულებრივ, კაფსულების სახით გამოდის

გაფრთხილება!

ეფედრინი და კათი ისევე
საშიშია, როგორც MDMA